ხელშეკრულება № 171/ 21

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 6 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №**171 საჯარო სკოლა** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ქსოვრელის სახით და მეორეს მხრივ, **შპს ლიბრა"** (შემდგომში - მიმწოდებელი)ც მისი დირექტორის ვენერა ჭელიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია - **ნაბეჭდი წიგნები (cvp 22100000);** შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **246,80 (ორას ორმოცდაექვსი ლარი, 80 თეთრი) ლარი .**

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან **2016 წლის** 12 ივნისის **ჩათვლით,** ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი ძოწენიძის ქ N 3).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოდ შესრულებული სამუშაო.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო.

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მიმწოდებელი

შპს ,,ლიბრა,,

მისამართი: თბილისი, ვაჟა -ფშაველას 30ბ
ტელეფონი: (995 32) 591229373
საიდენტიფიკაციო კოდი: №200135763
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს ,,საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
საბანკო კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების -ანგარიში:
GE07BG0000000114977500

დირექტორი

---------- /ვ.ჭელიძე/

შემსყიდველი

სსიპ ქალაქ თბილისის № 171 საჯარო სკოლა

მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, ძოწენიძის 3
ტელეფონი: (+995 32) 231 60 51
საიდენტიფიკაციო კოდი: №204889219
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ,,ლიბერთი ბანკის"-ცელტრალური ფილიალი
საბანკო კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების-ანგარიში:
№ GE73LB0121111326216000/340820

დირექტორი

---------- /ქ.ქსოვრელი/

დანართი №1

1. შესყიდვის ობიექტია:

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	თანხა ლარი
1	მიხეილ ჯავახიშვილი 7 ტომი	1	76,80	76,80
2	ვაჟა ფშაველა 6ტომი	1	52,80	52,80
3	ნოდარ დუმბაძე 9 ტომი	1	52,00	52,00
4	გიკი გოგო 3 ნაწილი	1	30,00	30,00
5	კაზუო იშუგორო	1	8,00	8,00
6	ჯინსების თაობა	1	6,70	6,70
7	ჰარლან ქობენი	1	11,50	11,50
8	სალა სიმუკა	1	9,00	9,00

სულ - 246,80 (ორას ორმოცდაექვსი ლარი, 80 თეთრი) ლარი

შპს "ლიბრა"

ვ.ჭელიძე

სსიპ ქალაქ თბილისის #171 საჯარო სკოლა

ქ.სოვრელი

მიღება-ჩაბარების აქტი №

თბილისი -8- ივნისი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის #171 საჯარო სკოლის დირექტორის: -ქეთევან ქსოვრელის სახით, შემდგომში)შემსყიდველი და მეორე მხრივ, შპს ,,ლიბრა" შემდგომში (მიმწოდებელი) სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 6 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,ლიბრა"-მ მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი 246,80 (ორას ორმოცდაექვსი ლარი, 80 თეთრი) ლარის ღირებულებით რაზედაც ვაწერთ ხელს.

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	თანხა ლარი
1	მიხეილ ჯავახიშვილი 7 ტომი	1	76,80	76,80
2	ვაჟა ფშაველა 6ტომი	1	52,80	52,80
3	ნოდარ დუმბაძე 9 ტომი	1	52,00	52,00
4	გიკი გოგო 3 ნაწილი	1	30,00	30,00
5	კაზუო იშუგორო	1	8,00	8,00
6	ჯინსების თაობა	1	6,70	6,70
7	ჰარლან ქობენი	1	11,50	11,50
8	სალა სიმუკა	1	9,00	9,00

სულ - 246,80 (ორას ორმოცდაექვსი ლარი, 80 თეთრი) ლარი

შპს "ლიბრა"

ვ.ჭელიძე

სსიპ ქალაქ თბილისის #171 საჯარო სკოლა

ქ.სოვრელი